



3065336801 36036350 ბიბლიოთეკა

K 70.596/3

საქ. სსრ ჯგანსახკომის კურ. მთავ. სამმართველოს მინა ცხაკაიას ხას.  
კურორტოლოგიის საკვლეო-სამეცნიერო სახელმწიფო ცენტრ. ინსტიტუტი  
Государственный центральный научно-исследовательский институт  
курортологии им. Миха Цхакая Главкурупра НКЗ Грузинской ССР

K

70.596

3

ადამითვის კურორტები

რ. ჯავახიშვილი

კ ბ 8 კ ლ კ

61:91/с


საქართველო  
პიროვნეული

ხაშ. ხერ ჯანხანკომის კურ. მთავ. სამმართველოს მინისტრი ცხადადას ხას.  
 კურორტოლოგიის საკვლეო-სამეცნიერო სახელმწიფო უნივერსიტეტი  
 Государственный центральный научно-исследовательский институт  
 курортологии им. Миха Цхакая Главкурупра НКЗ Грузинской ССР

## საქართველოს კურორტები

ღ. ჯავახიშვილი

# კ ა ნ ა ლ ე ნ



19 618868188  
თბილისი 39

# ჩემი (ს-მუქი)

პ/მგ. რედაქტორი პ. ელიაშვილი  
 გამომშვები ნ. გალუსტაშვილი  
 გორექტორი ო. ტუღუში

|                       |
|-----------------------|
| საქმედგამის სტამბა,   |
| აკ. წერეთლის ქ. 3/5   |
| ტირაჟი 1500           |
| მთავ. რწმუნებ. № 2455 |
| შეკვ. № 1273          |

## შ მ ს ა გ ა ლ ი

კურორტი ახტარა მდებარეობს კახეთში, 412 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, აღაზნის მშვენიერ ველზე მდინარე აღაზნის მარჯვენა მხარეზე. კურორტი ღამორებულია საღგურ გურჯაანს (კახეთის ჩ. გზა) ნახევარ კიდომეტრით, თბილის კი 120 კიდომეტრით. თბილისიდან მატარებლით 6 საათის გზაა.

აღაზნის ვეღის სიღამაზე, აგრეთვე კურორტის მიღამოებისა და თვით კურორტისაც, ჰარმონიულად შეხამებულ თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენს: მწვანე ხავერდოვან განიერ ველზე მიზდაზნება მდინარე აღაზანი, რომელიც ღაფარულია მის ნაპირებზე აყრიდი ხშირი ტყით, მხოლოდ აქვა იქ გამოანათებს მდინარის ვერცხლისფერი ზეღაპირი, რომელიც ანარევდავს სამხრეთის მხურვალე მზის უხვად ღაშვებულ სხივებს. ვეღი ერთის მხრივ მიბჭენილია კავკასიონის მთავარ ქედის ძირზე. ქედის მწვერვალები ღაფარულია მარადი თოვლით. ამ მწვერვალებში მოჩანს ღიღებული მთა — ყაზბეგის მყინვარ წვერი თავისი განუყრელი მაღალმთიანი ამაღლით. მეორე მხრით ვეღისაკენ ეშვებიან ცივ-გომბორის მთების შტოები, ფოთძოვანი ტყეებით ღაფარული, რომელიც განსაკუთრებულ სინაზე ანიჭებენ რელიეფს. ვეღზე ღაშვებული ფერდობები მოფენიდია კოდმეურნეობათა სოფლებით, რომელიც თითქმის მთელი ვეღის გასწვრივ მიჭყვებიან. ეს არის კახეთი — ყურძნის და ლვინის კრასიკური სამშობლო.

აღაზნის ვეღი მდიდარია სხვადასხვაგვარ ფერით და ფაუნით. მას ძველთაგან საქართველოს პურის ბელედს უწოდებდენ თაკისი მდიდარი მოსავალის წყარობით. აქ კარგად ხარობს სამხრეთის მრავალი ძვირფასი ხეხილი: ღელვი, ბრონეული, ატამი; მოჭყავთ პირველხარისხოვანი თამბაქო; ვეღის ქვემო მხარეზე კი — ბრინჯი, ბამბა და სოფლის მეურნეობის სხვა უმაღლესი ტექნიკური კულტურები. კურორტიდან ოციოდე კიდომეტრზე, მელვინეობის საბჭოთა მეურნეობის განთქმული „წინანდაღის“ პარკში, კვიპაროზების და ბამბუკების გვერდით შეხვედებით სუბტროპიკულ მცენარეთა იშვიათ ნიმუშებს.


მთელი კახეთი ღიღად საინტერესოა ექსკურსიებისა და ტურიზმისათვის. მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობანი: მუკუჩანის, წინანდაღის, ნაფარეულის, კარდანახის, ხირსის და სხვა ღირსია ნახვისა და ღათვაღიერებისა.

ამას გარდა ეს მხარე მღიღარია მატერიალური კურტურის ისტორიული ძეგლებით, როგორიცაა ძველი ციხე-სიმაგრეები და ტაძრები, ზოგი მთლიანად შენახული, ზოგი კი მხოლოდ ნანგრევები, მხატვრული ხუროთმოძღვრების ნაშთებით. მაგალითად: გურჯაანიდან 4 კიდომეტრზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით, თვაღწარმტაც ხეობაში შენახულა ერთი უძველესი ძეგლთაგანი „ყველა წმინდას“ ტაძარი, ორიგინალური ანაგობის ბაზიდიკებით, რომელიც პროფ. გ. ჩუბინიშვილის გამორკევით მე-6-7 საუკუნეს შეიკუთვნება.

სოფელ ვეჯინზე ცოტა მოშორებით მთაბე ღგას ყოფილი მონასტერი და ტაძარი „ამაღლება“, მხატვრობის ნაშთებით. ამავე მიმართულებით, გურჯაანიდან 18 კიდომეტრზე, მღვმარეობს ქადაქი სიღნაღი, იმავე სახელის შესანიშნავი ძველი ციხით.

სიღნაღიდან 3—4 კიდომეტრის მანძილზე განთქმული ძველი მონასტერი „ბოდე“, კიდევ ცოტა მოშორებით, 8 კიდომეტრზე, მეორე მონასტერია „ხინსა“.

გურჯაანიდან ჩრდილო-დასავლეთით, ცივ-გომბორის ქედის კალთებზე ღამაზად გაშლილა ქადაქი თეღავი. აქ შემონახულია ძველი ციხე და პატარა სასახლე, საღაც გარდაიცვალა მეფე ერეკლე. ქადაქის შესავალში, რკინის გზის საღგურთან ახლოს, არის მევენახეობის და მეღვინეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვდეო ინსტიტუტი. თეღავიდან 8 კიდომეტრის დაშორებით, სამხრეთ-დასავლეთით, მშვენიერ აღგიღზე ღგას ძველი მონასტერი „შუამთა“. ქვემოთ, ვეღისკენ არის სოფელი იყალთო, საღაც შეიძლება აკადემიის ნანგრევების ხიდვა; ამ აკადემიაში, როგორც ძველი გადმოცემა მოგვითხოვთ, სწავლობდა შოთა რუსთაველი. 18 კიდომეტრზე თეღავიდან, აღაზნის ვედის ქვემო მხარეზე, არსებობს ყველაზე შესანიშნავი და უღიღესი მთელ საქართველოში „აღავერდის“ ტაძარი, რომელიც მე-IX საუკუნეშია აშენებული.



კურორტის საერთო ხელი

### კურორტის განვითარების ისტორია

ახტადის აღმერიძობა მოგვცა პირველად საქართველოს ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ბატონიშვილ ვახუშტი მ მე-XVIII საუკუნის ნახევარში; ჩოცა ის გურჯაანის მიღამოებზე დაპარაკობს, გზადაგზა ახტადის ტაძახის აბანოებსაც ეხება და ამ ტაძახის წარმოშობის დეგენდასაც კი მოგვითხრობს. ახტადის ტაძახს ცნობილი ქართველი ისტორიკოსი-არქეოლოგი პეტრ იოსევიანიც იხსენიებს თავის „ვახეთში მოგზაურობის წერილებში“ 1846 წელს.

მაგრამ პირველმა, ვინც ამ ტაძახს ყურადღება მიაქცია მისი სამკურნალო მნიშვნელობის თვალსაზრისით — იყო სილნალის სამაზრო ექიმი აღექსი მესხიშვილი. მან ჭერ კიდევ წარსულ საუკუნის 40-იან წელში აცნობა უნიკებას ახტადის ტაძახის სამკურნალო თვისებების შესახებ. მას შემდეგ სილნალის სამაზრო ექიმმა ღისიცევმა და ექიმმა სააკოვმა იწყეს თავიანთი ავადმყოფების გზავნა ახტადის ტაძახზე სამკურნალო.

ზაფხულში 1863 და 1864 წელს ახტადაში პირველად დაიწყო მუშაობა თუქურმიშის (წითელი წყარო) სამხედრო ჰოსპიტადის დროებითმა განყოფილებამ ექიმი ნეკრასოვის ზედამხედველო-

ბით. ახტადის შესახებ წერა დაიწყეს. დაიწერა ნ. კოტურევის, ცვის, ეჭიმ. კარპოვიჩის, გეორგ ბაცევიჩის შრომები. ცნობები ამ შრომებზე გამოაქვეყნეს ბერტენსონმა და ვორონიხინმა. ტადახი ქიმიურად გამოიკვდია სტრუვემ, 1896 წ. კი ახტადის ტადახის ანალიზი ზედმინევნით გააკეთა ნოვოროსია-კის (ოდესის) უნივერსიტეტის პროფესორმა პ. მედიქიშვილმა, რომელმაც თავისი შრომა გამოაქვეყნა რუსულ და გერმანულ ენაზე. უფრო გვიან, 1903 წელს ახტადაზე სწერდა ნევმერუიცვი, 1904 წელს—ეჭიმი დ. ახვდევიანი. 1912 წელს ექ. დ. ჭავა-ხიშვილმა პირველად ექ. დ. ნეკრასოვის შემღება, მოახდინა კლინიკური დაკვირვება. 1915 წელს უსრავმა „Лечебный Кавказ“ ახტადას მთელი ნომერი მიუძლვნა.

მაგრამ ახტადის ტართო გამოყენება და მისი სახელი გაიზარდა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემღება; სწორედ აქედან იწყება კურორტის მშენებლობა.

ჟერ კიდევ 1922 წელს აშენდა ტადახის სამკურნალო ცხელ ტადახის აბაზანების მისაღებად; შემღება გაიყვანეს წყალსაღენი, რომლითაც კურორტი ლებულობს საღ წყაროს წყალს. ამჟამად კურორტს აქვს საკმაო საბინაო ფონდი საერთო საცხოვრებლების და სასტუმრო-პანსიონატის სახით. აშენებულია ღიღი პოლიკლინიკა, რომელიც მოწყობილია ყველა სპეციალობის კაბინეტებით, აგრეთვე რენტგენისა და ფიზიოთერაპევტური დანარგარებით. კარგად მუშაობს საკუთარი ედექტრო-საღგური. პარკად აღებულია ღიღი ფართობი ღამაზი ყვავილნარებით, ესტრადით შუაგულში და კულტურულ საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სხვა ობიექტებით.

შემღგარია კურორტის შემღევი მშენებლობის გენერალური დაგეგმვის პროექტის სქემა.

### ჰავა

კურორტის ჰავა ზომიერი კონტინენტალურია; ზამთარი მკაცრი არ იცის.

ზამთრის ყველა თვეებში ღღის ტემპერატურა საშუალო  $0^{\circ}$ -ს აღემატება. ზაფხული შედარებით მშრალია. ნაღესების საშუალო ნდიური რაოდენობა ღიღი არ არის მაქსიმუმი მაისის თვეზე მოღის.

ახტადის კურორტი გაიჩინევა ღიღი შზიანობით. წერინაღში მზიანობა (მზიანი ამინდი) 2.500 საათამდე აღწევს.

საკურორტო ზონას ახასიათებს საპარაგო მასების მიმოსვლის პროცესების სიშეყრის, აქ უბერავს მთა და ბარის ქარები.

როგორც სჩანს, ჰავის პირობები სავსებით ხედს უწყობს, რომ კურორტმა მთელი წლის განმავლობაში იმუშაოს.

### გაოლობია


ახტადის ტაღახის აუზების რაიონი გომბორის ქედის მთაზიან ტექტონურ ფენაშია მოქცეული. თვით ქედი შესღება ცარცის და მესამეუდნეულ ნაღესებისაგან, რომელიც ერთი მეორეზე არიან შეცოცებულნი ჩინდიროვთიდან სამჩრეთისაკენ. იმ რაიონში, საღაც ეს ნაღესები იძირებიან აღაზნის კონგლომერატებისა და უფრო ახალ მესამეუდნეულ მერმინდები ნაღესების ქვეშ, შენიშნულია დამახასიათებელი გეოლოგიური მოვლენები—ტაღახის ვუდვანები. ამ ვუდვანებში ყველაზე უფრო შესანიშნავი როგორც სიღიღით, ისე სამკურნალო თვისებებით ახტადის აუზებია. ეს აუზები ღავავშირებულია ნაღესებთან, რომელთაც ემჩნევათ ნავთობიანობა. როგორც ეტყობა, ახტადის სამკურნალო ტაღახის გამოსავლები ღავავშირებულია ტექტონურ წყვეტებთან, რომელიც შემჩნეულია ამ რაიონში.

ინკ. ა. მ. ოვრინიკოვის აზრით, კახეთის ქედის რაიონის ყველა ტაღახვუდვანს—ახტადას, ფხოვედს, ჭერემს და სხვა, ასე თუ ისე კავშირი აქვს ნავთობულობის ნიშნებთან. იმ აღგიღებში, საღაც აღაზნის მძღავრი კონგლომერატები არ არის, ღამტკიცებულია ტაღახის აუზების უშუალო კავშირი ტექტონურ წყვეტებთან (ხშირად—განძველებულ ნაწევებთან) პაღეოგენურ წყებაში (კინტა-მაიკოპი), რომელთანაც სწორედ კახეთის ქედის ნავთობის ბურობთა ნიშნები ღავავშირებულია.

ახტადის ვუდვანების გენეზისი, ღიტერატურულ და მოკრეფილ ცნობების მიხედვით, ოვრინიკოვს მიაჩნია, როგორც შეღეგითიხოვანი მასალის ტექტონურ სიბრტყეებზე გაღაღესვის, ნავთობაირის მოქმედების პროცესებისა, მიკრობთა მონაწილეობით, ნყდების ცირკულაციისა, ქანების გამოტუტვისა და რთული ღისპერსული სისტემის შექმნისა, თიხოვან ნაწილაკთა ღიღი რაოდენობის გამო. ახტადის ტაღახის განსაკუთრებულად წვრილ თიხოვანი შეღენილობა, როგორც ჩანს, უმთავრესად, შეღეგია უკვე წინათ დაღექიდ მასალის მეორადი გაღარეცხვისა.

საქართველოს კურორტოლოგიის ცენტრალური ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიური გამოკვდევების შეღეგად. რომელიც ამ ბოლო

ნდებში წარმოებდა, ირკვევა როგორც ახდაღ გადმოდენიდ ტაღა-  
 ხის დებიტი, ისე ძველი გამზარი ტაღახის მარაგი.  
 გადმონადენ ტაღახის რაოდენობა ურჩის 30—50 კუბომეტრს  
 ღლელამეში; ანუ 3.000—5.000 ვერას.



ტაღახის აუზების საერთო ხელი

### ახტალის ტაღახის აუზების მდგრადი მოდელი

ახტალის ტაღახის აუზები მდებარეობენ ქვაბურში, რომელის  
 ფართობი უდრის  $4\frac{1}{2}$  ჰექტარს. ეს ქვაბური ვრიფსური მოყვანილო-  
 ბისაა, თითქო ჩანაქცევი. იყოს აღაზნის შუა ვედზე, რომელსაც  
 იგი მცირე დაღეთი უერთდება.

სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის მხრით ქვაბური შემორტყმუ-  
 ლია ფოთლოვანი ტყით დაფარული ფერდობებით, რომელსაც ეპურის  
 ნაწილობრივ კურორტის პარკი.


ახტალის ქვაბურში მოქმედებს ტაღახის 7—9 აუზი, რომელი-  
 დანაც ტაღახთან ერთად თუშთუხით და ხმაურით მუდამ ამოღის  
 გაზებიც.

ტაღახი ლია ნაცრისფერისაა, იგი ამოსავად აღვიღების  
 იჩვენებს მშენებისავ ნარინჯისფერ აქაფუღ პვეს, რომელიც

ჰერჩენე თანდათან იმურება; ეს პერ უმთავრესად ნავთობისაგან შესდგება.

სააირო არხიდან ამოსვედისას ტაძაზი თხიერი შემაღენდობისაა, თუმცა, ზოგჯერ, ზოგიერთ აუზიდან საკმაოდ სქედიც გადმოდის.

ტაძახის აუზებზე ჩვეულებრივად მონახშირბაღო-გოგირდნყაღბაღიანი სუნი ღგას, ნავთობის სუნთან შერევით, მაგრამ არა ყველა აუზში ერთნაირად და არა ყოველთვის: ღიღას აღრე სუნი უფრო მაგარია, გვიან, ღლით იგი აქროდება და თითქოს ვდებულობს.



მამქმედი ტალახის ერთ-ერთი აუზი

ახდად ამოსუდ ტაძახის ტემპერატურა მერყეობს  $20-22^{\circ}\text{C}$  ფარგლებში. ღამდგარი ტაძახი კი იცვდის ამ ტემპერატურას ატმოსფერულ ტემპერატურისდა მიხედვით. ტაძახის გემო მწარე-მდაშეა; ჩე აქცია—ტუტე. ტაძახის აუზები სხვადასხვა სიღიღის და მოცულობისაა; ზოგის ღიამეტრი  $15-20$  მეტრია, ზოგის ნაკლები,  $2-3$  მეტრი.

ტაძახის გაღმონთხევის ადგიდი და ტაძახის რაოდენობა ხშირად იცვლება; თუ ერთ ადგიდზე აუზის მოქმედება შესუსტდა,

სამაგიეროდ გაძლიერდება მეორე აუზი. ახალი აუზის გამოჩენას ახალ აღგიღზე მუდამ მოსდევს რომელიმე მომქმედი აუზის დასუსტება, ან სრული ჩაქრობა. აუზის მოქმედების შეწყვეტა ხდება ჩვეულებრივად, თანდათანობით: მთავარი არხი, რომელშიც ტადახი და აირი ამოდის ხშირად ტადახის ღიღი წნევის, ან სხვა რაიმე მიზეზით დაიხშობა, იხურება; ამ აღგიღას ტადახის ამონთხევა თანდათან კლებულობს და ბლეოს სწყდება, მაგრამ სამაგიეროდ ამომყვანი არხი ახდა სხვაგან საღმე აუზის პერიფერიაზე იჩენს თავს, ანდა, თუ ეს აუზი სრულიად ჩაქრა, მის ნაცვლად ქვაბურის სხვა აღგიღას ამოხეთქს მეორე აუზი, თითქმის ისეთივე ძაღით და ნაყოფიერებით, როგორითაც პირველი. ახალი აუზის გამოჩენა ხდება უმთავრესად და აგრეთვე თანდათანობით; პირველად წარმოიშობა პატარა გუბე მრავალი. ბუშტულით და ძლიერ თხედ, წყლისებრ ტადახით. ჩქარა ის ემსგავსება ორმოს, რომელის კიდეები სუდ უფრო და უფრო განიერდება და ასე იზრდება მთედ ღიღ აუზად, რომელშიც ტადახი ძლიერი ხმაურობით ამოდის.

### ახტალის ტალახის შიმიური ჟანაზგვანლობა

ახტალის ტადახი წინათაც ბევრჯერ ყოფილა გამოკვდეული, 1932 წლიდან კი მის ფიზიკა-ქიმიურ რეჟიმს სისტემატურად იკვდევს კურორტოლოგიის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის გეოქიმიური დაბორატორია.

პროფ. მედიქ იშვილის მიერ გაკეთებული ანალიზის მიხედვით (1896 წ.) ახტალის ტადახის მკვრივი ნივთიერება უმთავრესად პრასტიურ თიხას შეიცავს; 100 გრამ წყლის აორთქედების და გაშრობის შემდეგ 1,9982 გრამი მშრალი ნაშთი ჩაისა.

ანალიზის საფუძველზე, პროფ. მედიქი შვილს შემდეგი დასკვნები გამოაქვს:

1. ახტალის ტადახში, წყალი თავისი მარილიანობით წააგავს სხვა კავკასიურ ტადახულკანების წყალს, რომელისაგან მხოლოდ ღითიუმის მარილებით განიჩევა.

2. ამ წყალში სოდა წარმოსდგება ქრონიან ნატრიუმისა და ორნახშირმჟავა მარილოვან-ტუტე-მინური ღითონების წყალით.

3. ტადახის მაგარი ნაწილები შესდგება ამორფულ თიხისაგან ამორფულ კაუმუავასაგან, კვარცისა, მინდვრის შპატისა, ორთოკლაზისა და სინილინისა, რქის ნარევისა, ბრონზიტისა, მაგნეტიტისა და რომბოედრულ კირშპატისაგან.

4. ტაღახში ორგანულ მჟავეების, ამონიაკის და ამონიაკის ფუძეთა არსებობა ამართდებს იმ მოსაზრებას, რომ ნავთი წარმოსდგება ცხოველურ და მცენარეულ ორგანიული ნაშთების წყალობით.

### ტაღახის ქიმიური ანალიზი

6. დ. კუპცისის მიერ 1919 წელს გაკეთებულ ანალიზით 100 ნაწილი თხევადი ტაღახი შეიცავს:

|                                   |        |
|-----------------------------------|--------|
| წყალს . . . . .                   | 58,2%  |
| მკვრივ ნივთიერებას . . . . .      | 41,3 " |
| განასაზღვრულ ნაწილაკებს . . . . . | 1,24," |

100 გრამი წყალი შეიცავს:

|  |          |
|--|----------|
| იოდოვან ნატრიუმს . . . . .             | 0,0016 % |
| ბრომოვან ნატრიუმს . . . . .            | ვალი.    |
| ქლოროვან ნატრიუმს და კალიუმს . . . . . | 1,8923 % |
| ნახშირმჟავა ნატრიუმა . . . . .         | 0,1167 " |
| კალციუმს . . . . .                     | 0,0382 " |
| მაგნიუმს . . . . .                     | 0,0703 " |
| გოგირდმჟავა კალციუმს . . . . .         | 0,0406 " |
| რკინის უანგს . . . . .                 | 0,0502 " |
| ალუმინის უანგს . . . . .               | 0,0933 " |
| ორგანიულ ნივთიერებას . . . . .         | 0,2942 " |

რ. დ. კუპცისმა იმავე წელს გამოარკვია ტაღახის რადიოაქტივობაც და ალმოჩნდა შემდეგი:


|                                   |                   |
|-----------------------------------|-------------------|
| ტაღახის ზედაპირულ შრეში . . . . . | 1,16 ერთ. მაჩვთი. |
| შესქელებულ ტაღახში . . . . .      | 0,93 ,            |
| შემთბარ ტაღახში . . . . .         | 0,24 ,            |
| გამხმარ ტაღახში . . . . .         | 0,147 ,           |
| ორ თვეს შემთბულ ტაღახში . . . . . | 0,137 ,           |

სისრულისათვის საჭირო მიმართია მოვიყვანოთ აგრეთვე პიატიგორსკის ბადნეოდოგიურ ინსტიტუტის მიერ 1932 წელში გაკეთებულ ანალიზის შედეგები:

| აუზი<br>„კაცების“ <sup>1)</sup> | აუზი<br>„ბრაზიანი“ * |
|---------------------------------|----------------------|
| ქლოროვანი კალიუმი . . . . .     | 0,1696 გრ.           |
| ბრომოვანი ნატრიუმი . . . . .    | 0,0580 ,             |
|                                 | 0,1791 გრ.           |
|                                 | 0,0600 ,             |

\* ) აუზის სახელშიდება პირობითია, ინუ. ოვჩიონიკოვის მიერ მიღებულია.

|                           |          |         |     |         |     |
|---------------------------|----------|---------|-----|---------|-----|
| იოდიუმი                   | „        | 0,0180  | „   | 0,0150  | „   |
| ქლორიდუმი                 | „        | 12,5180 | „   | 12,3050 | „   |
| „                         | კალციუმი | —       | —   | —       | —   |
| „                         | მაგნიუმი | —       | —   | —       | —   |
| გოგირდუმავა ნ-ტრიუმი      | „        | 0,0130  | „   | 0,0120  | „   |
| „                         | კალციუმი | —       | —   | —       | —   |
| ორნარშირმუანა ნატრუმი     | „        | 1,9850  | „   | 1,6790  | „   |
| „                         | კალციუმი | 0,5280  | „   | 0,3380  | „   |
| „                         | ბარიუმი  | 0,0083  | „   | 0,0060  | „   |
| „                         | მაგნიუმი | 0,5890  | „   | 0,6030  | „   |
| ბორის მჟავა               | „        | 0,3575  | „   | 0,3300  | „   |
| კაუმუავა                  | „        | 0,0317  | „   | 0,0220  | „   |
| ორნარშირმუავა რკინა       | „        | —       | —   | გვალი.  |     |
| მკვრივ შემადგნელ ნატრიუმი | „        | 16,2761 | გრ. | 15,5431 | გრ. |
| თავისუფალი ნატრირმუავა    | „        | 0,2500  | „   | 0,2060  | „   |
| ყველა შემადგნელ ნატრიუმი  | „        | 15,5261 | გრ. | 15,7551 | გრ. |



მზის სპივებით გამობარ ტალახის აუზში ბანაობა

ახტარის ტაძახის სხვადასხვა ღროს გაკეთებული ანაღიზები გვიჩვენებს, რომ ტაძახის ქიმიური შემაღენდობა (ამ 80 წელი-ნაში) არ შეცვლიდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უკანასკნელმა ანაღიზმა ღაგვანახუა შიგ ბორის მჟავა, რომელიც უცხოა ჩვეუ-დეპრივი ღამის ღა ტორთის ტაძაზებისათვის.

## როგორ იცხარება ახტალის ტალახი

ჰერ კიჩევ ძველად, კახეთის მოსახლეობა სამკურნალო მიზნით ხმარობდა ახტალის ტაღახს თავისი ბუნებრივი სახით. ხალხი ბანაობდა თვითონ აუზებში (ტაღახის წყაროები), რომელთა ზედა-პირულ შრეების ტემპერატურა, მჩის სხივებით გამოთბარი, აღნიერს 28—34°-მდე.

ასეთი წესი ვარგა მხოლოდ ზაფხულში ივნის-ივლის-აგვისტოს თვეებში და ისიც წყნარ მზიან ამინდში.

ახდა მოწყობილია ახდიდი საბანაოები ორ აუზთან, ცალ-ცალკე კაცებისა და ქადებისათვის. ტაღახის ლია აუზებში ბანაობა ძიერ სასიამოვნოა; ნახევრად თხიერი, თანაბრად ჩატარდი კონსისტენციის ტაღახი ნაზად ეხება კანს და ჩატარდი შემოედება ფანს. ტაღახის ღირი სიმკურივისა და მაღალი ხვევრითი წონის გამო სხეული აღვიდად აცურავდება ზევით, თითქოს ქვემოდან თავისუ-ფადი ძაღა ანვებოდეს. მობანავე აღვიდად ერკვევა, ჩქარა ეჩვევა საერთო შეგრძნებას, სწავლობს კურვას და ტაღახის ზედაპირზე სრული მოსვენებით წოდას. ბანაობის შემდევ აღაშიანი ძიერ გრიდად და მაგრად გრძნობს თავს, მაღა და ენერგია უცხოვედება და სრულ განასღებას და სიმჩატეს განიცდის. მაგრამ ეს ბანაობა კარგია მხოლოდ მაშინ, როცა იგი გრძელდება 25—30 ხუთს; ხანგრძლივი ბანაობა კი, პირიქით, იშვევს მთელი სხეულის ჭალ-დას და სისუსტის უსიამოვნო შეგრძნებას.\*)

აქ, კიჩევ, ღირი ხნიდან მეორე ხერხსაც იყენებდენ ბუნებრივ ტაღახიო მკურნალობაში. ტაღახის აუზში მობანავე, ამოღის აუ-ზიდან და გაუბანებდად წვება მზეზე და შრება. ეს მეთოდი ტა-ღახით მკურნალობისა ღირ სამკურნალო ეფექტს იძღევა, რაღან აქ შეერთებულია ტაღახის და მზის აბაზანები. ეს არის, ე. ნ., ეგვიპტური მეთოდით მკურნალობა.


ტაღახის ხმარების ძირითადი მეთოდი კურორტე—ეს ხე-ლოვნურად გამობარი ტაღახის აბაზანებით მკურნალობაა.

ამჟამად ახტალაში მოქმედებს ტაღახით სამკურნალო 60 ინდი-ვიღუაღური აბაზანით, კაცების და ქადების განყოფილებებით. აქ ღებულობენ თბიღ და ცხელ თხელი ტაღახის საერთო აბაზანებს,

\* ) ლია აუზში საბანაოდ ზაფხულობით ახტალას აუარებელი სალი ხალხიც ერანებოდა, მხოლოდ გასაგრილებლად და დასასვენებლად, მაგრამ ამის შედევრათ ამ აუზის ლალახი ძინაურდებოდა და ბოლოს დროს ანტისანიტარიის ბუდეთ იყო გადაქცეული, რის გამოც კურორტის აღმინისტრაცია იარღებული იჭო გაეცემა-ბინა საერთო ბანაობა აუზში.

36—42°C ტემპერატურით. ტაძახის გათბობა მიღებულია ონ-თქებით.

გარდა ამისა 1938 წელს სეზონში შემოღებული იყო ტაძახით მკურნალობის ეგრეთ ნორებული, აპრიკაციური მეთოდი, რომელს დროს ხმარობენ სქედი კონსისტენციის ტაძახს, უფრო მაღალი ტემპერატურისა, და რომელიც ნარმოაღგენს კომპრესის მაგვარ ტაძახის პროცედურას.



#### პანსიონატი

კურორტზე, პოლიკლინიკის გინეკოლოგიურ განყოფილებასთან შემოღებულია ინტრავაგინალური (სამოს შიგნითა) ტაძახმკურნალობა ტამპონების სახით.

პროფ. ა. გ. ჭანი ურჩევს ახტადის ტაძახის ხმარებას ნმინდა ფქვნილის სახით, პულვერიზაციის საშუალებით ცერვიციტების, ვაგინიტების და სხვა იმ ქაღურ ღავაღებათა დროს, რომელსაც თან ერობის ახდავს.

#### ახტალის აგაზანების მომზადება ღრღანიზე

ტაძახის აბაზანები საერთოდ მძღავრ მომქმედ სამკურნალო საშუალებათ ითვლება.

ამ პროცედურის დროს აღგიღი აქვს სხვადასხვა ფაქტორთა გავლენას:

პირველი — თე 6 მარტი, ანუ ობიერების ეჭვეპტია, რაღან ტადახის პროცესურა მომეტებულ შემთხვევაში მაღალ ტემპერატურისაა და იგი აფართოვებს კანის სისხლის მიღებს, მაჯის ცემას და სუნთქვას აჩქარებს, ნივთიერებათა ცვდას აძლიერებს, სხეულის შინაგან და გარეგან ტემპერატურას მაღალ ასწევს.

მეორე არის მექანიკური გავრენა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ტადახის მასა აწვება სხეულს და დაზედვის მაგვარ მოქმედებას იწვევს, ამის გამო სისხლი კაპილარებიდან სისხლძარღვთა სისტემის მთავარ კადაპოტში გამოიღევნება, გაუმჯობესდება აგრეთვე ღიმფის მოძრაობა ღიმფურ საღინარებლი; საერთოდ მატულობს გულისა და სისხლძარღვთა სისტემის ენერგია: და დაჭიმულობა.

მესამე — ქიმიური მოქმედება, რომელის ღროს შესაძლებლად სთვდიან კანის მხრივ გაზებისა და მქროლავ ნივთიერებათა შენოვას (გოგირდნებადბადი, ამონიაკი, იოდი და სხვა). ზოგიერთ ტადახებში ალმოჩენილია, ეგრეთ ნორებული, იშვიათი აირები (არგონი, გელიუმი, ნეონი და სხვა), და იქ, საღაც არ არის ალმოჩენილი ეს აირები, შესაძლებლად არის მიჩნეული მათი არსებობა და მოქმედება. გარდა ამისა კანის საოფლე ფორებში და ნვრიღ უჩინარ ნაოჭებში რჩება ტადახში შემავალ მარილთა ბრძები (კრისტალები), რომელიც აღიზიანებენ კანის პერიფერულ ნერვულ აპარატს.

მეოთხე — ეს არის ტადახის მასაში არსებული სხვადასხვა ედექტრული მოვრენების გავრენა: აღგიღი უნდა ჰქონდეს ერთგვარ იონიზაციის მაგვარ მოქმედებას, ნყაღბადის იონების კონცენტრაციას და სხვა.


ამგვარად, ტადახის მკურნალობის ღროს აღგიღი აქვს ფიზიკურ და ქიმიურ მოქმედ ფაქტორთა რთულ კომპლექსს (ნაერთს). ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ ტადახის აბაზანები ღიღ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს იწვევენ. ასე მაგარითად, ტადახის პროცედურების ღროს ხდება სხეულში სისხლის გაღანანილება, რაღან კანის სისხლძარღვები სითბოსაგან ფართოვდებიან, სისხლი მიანვება ზედაპირს და ამავე ღროს კი შინაგან ორგანოებში და თავის ტვინში, სისხლი, პირიქით, ღროებით შემცირდება. ამის გამო ზოგჯერ იმ პირებს, ვისაც გულის მოქმედება შესუსტებული აქვს, ემართებათ ხორმე თავბრუს ხვევა, ყურებში ხშუიღი და სხვა.

ტადახის აბაზანები ახდენენ თავის გავლენას აგრეთვე სისხლის შემაღენდობაზე: სისხლის ნარმომშობი ორგანოების გაღიზიანების გამო მრავდება სისხლის ახალგაზრდა ედემენტები, რო-

მეღნიც ხედს უწყობენ ორგანიზმის ცხოველურობის გაძლიერებას.

ტაძარით მკურნაღობა აძლიერებს ნივთიერებათა ცვდას ორგანიზმში და ხედს უწყობს ანთებითი ნაშთების დაშვას და დავადებული ორგანოების გამომრთელებას.

ამგვარად აშკარა ხდება, რომ ტაძარით მკურნაღობა გარკვეულ გავდენას ახდენს როგორც ცადვე ორგანოებზე, ისე მთელ ისე მთელ ორგანიზმზე, რის შედეგად ჩვენ შესატყვის სამკურნალო ეფექტსაც ვიღებთ. რასაკვირველია, ამის შემდეგ საინტერესოა საკითხი, თუ რაში მდგომარეობს ტაძარით მკურნაღობის ჩედა აზრი და ტაძა-



ტალაპის და მხის აბაზანები (ეგვიპტური მეთოდით მკურნალობა)

ხის რომელ თვისებებს უნდა მიენეროს ესოდენ კარგი შედეგები, რომელსაც ტაძარით მკურნაღობის ღროს ვიღებთ, მეტადრე კურორტის პირობებში.

ამ საკითხზე გადაჭრიდი პასუხის გაცემა, ცოტა არ იყოს, ძნელია, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ შემცვარია ის აზრი, ვითომც ტაძარით მკურნაღობის ეფექტი შედეგი იჭოს ამ პროცედურის რომელიმე ცადვე თვისებისა. ტაძარით მკურნაღობისაგან მიღებული ეჭვებები არ შეიძლება ავხსნათ ტაძარის პროცედურის არც კიმიური თვისებით, არც მექანიკური გავლენით და ბოლოს არც მხოლოდ მაღალი ტემპერატურით. ამ მკურნაღობის ხელსაყრელი

შეღებები უნდა აიხსნას ტაღახის პროცედურის ყველა ერთად შე-  
 ერთებული თვისებებით, რომელიც მჭიდრო კავშირში არიან ერთი  
 მეორესთან და მთღიანად ვი ასეთ დიდ გავლენას ახდენენ ორგა-  
 ნიზმე.

ამ ჩთული მოქმედების შეღეგად ტაღახით მკურნაღობის ღრმს  
 ხშირად ქრონიკული დავაღება მწვავდება, რაც მაჩვენებელია,  
 ეგრეთ წოდებული, რეაქციისა, რომელსაც მოსდევს უმეტეს  
 შემთხვევაში საბოლოო პროცესის დაცხის და ავადმყოფის  
 საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება.

აი სწორებ ამით უნდა აიხსნას აგრეთვე ის გარემოება, რომ  
 ტაღახით მკურნაღობას სრულიად გარკვეული აღგიღი უჭირავს ფი-  
 ზიკურ მეთოდებით მკურნაღობის სხვადასხვა საშუალებათა შორის  
 და რომელის მავიერობას არც ერთი მათგანი ვერ დაიჭირს.


ყველა ზემოხსენებული თვისებები და მოქმედებანი ახასია-  
 თებს საერთო ტაღახით მკურნაღობას, საღაც არ უნდა სწარმო-  
 ებდეს იგი, მაგრამ ყოველ ტაღახით სამკურნაღო კურორტს აქვს  
 აგრეთვე თავისებური ეღვერი და ამ შემთხვევაში ახტადასაც  
 ახასიათებს ეს თავისებურებანი, რომელიც მის სამკურნაღო ეფე-  
 ტიანობას აძლიერებენ. იგი გამოიხატება კურორტის და მისი  
 სამკურნაღო ფაქტორის დამახასიათებელ თვისებებით, რომელთა  
 შორის განმეორებით აღსანიშნავია მისი გეოგრაფიული მდება-  
 რეობა. ახტადა- საბჭოთა კავშირის (ტაღახის კურორტთა  
 შორის) ყველაზე უფრო სამხრეთის ტაღახითსამკურნაღოა თავისი  
 უხვი მზით, მშრალი და ხედსაყრელი ჰავით. მისი სამკურნაღო ტა-  
 ღახი ვუდკანისებური წარმოშობისაა და თავისი ფიზიკური  
 თვისებებით მეტად ორიგინალურ ნაერთს წარმოადგენს, რის  
 გამოც მისი ფიზიოლოგიური მოქმედებაც და თერაპიული ეფექ-  
 ტიც განსაკუთრებულია. ყველა ამას ემატება კახეთის უხვი და  
 მდიდარი ბუნება თავისი მრავალფეროვანი ხილით და ძვირფასი  
 ყურძნით, რომელიც ხედს უწყობს ავადმყოფის სრულყოფიდ კვებას.  
 აი ის უპირატესობანი, რომელიც ახტადას უქმნიან საუკეთესო  
 პერსპექტივას მისი განვითარებისათვის.

### სამართლო კვლევითი მუშაობა

საბჭოთა ხედისუფლების დამყარებამდე ახტადის ტაღახის  
 შესწავლას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და გამოიხატებოდა  
 ექიმების მიერ ჩატარებულ არაორგანიზებულ დაკვირვებაში ტაღ-  
 ახის სამკურნაღო მოქმედებაზე სხვადასხვა ავადმყოფობის ღრმს,  
 და აგრეთვე ტაღახის იმ შემთხვევით ქიმიურ ანალიზში, რომე-

ღიც სუდ რამოდენიმეჯერ გაკეთებულა რამდენსამე ათეუდ წევა  
წაღში.

მხოდოდ 1925 წლიდან წესრება კურორტის რაიონში სისტე-  
მატიური მეტეოროლოგიური დაკვირვება. საქართველოს კურორტო-  
ლოგიის სახელმწიფო ცენტრალურ ინსტიტუტის დაარსების დღიდან  
დაიწყო სამეცნიერო კვლევითი მუშაობა კურორტის სამკურნალო  
ფაქტორების შესასწავლა.



პოლიკლინიკა

კურორტის კომპლექსურ შესწავლისათვის ივზავნებიან ექიმთა  
ბრიგადები და სპეციალისტებისაგან შემღვარი სამეცნიერო ექს-  
პერიციები. პერიოდულად სწარმოებს ტაძახის ფიზიკა.ქიმიური  
გამოკვლევა, გაკეთებულია ანალიზები ქიმიკოს ჩ. დ. ჭუპცისის,  
შჩუკარევის და ბურქსერის მიერ. უკანასკნელი წესრების  
გამოკვლევებმა გვიჩვენა ამ ტაძახის ფიზიკურ და ქიმიურ თვისე-  
ბათა ორიგინალობა; ალმოჩნდა, რომ ახტადის ტაძახი შეიცავს  
დიდი კლიმატურობის გარდა, იოდს, ბრომს ღითიუმს, ბორის  
მჟავას, ნავთობს და სხვა ედემენტებს, რომდებიც არ სჩვევიათ  
ნაღებურ წარმოშობის ტაძახებს. ახტადის ტაძახის საინტერესო  
თავისებურობას წარმოადგენს აგრეთვე ის გარემოება, რომ იგი

შეიცავს აირ-მეტანს და ცოტად თუ ბევრად ნავთობის ნაჩენებს, რის გამოც ეს ტაღახი ნავთაღანს ემსგავსება.

ტაღახი მიკრობიოლოგიურად შესწავლიდია სიმაკოვას, პროფ. რ. ი. რუბენჩირვის და მის ასისტენტ გოიხერმანის მიერ (უკრაინის ბაზნეოლოგიური და კურორტოლოგიის ინსტიტუტი), რის შედეგათაც გამორკვეულია როგორც ლრმა, ისე ზევითა შრეში არსებულ მიკროფლორის ყველა სახეები.

ინჟინერ ა. მ. ოვრინიკოვმა გამოიკვდია ტაღახი ჰიდროგეოლოგიურად იმ მიზნით, რათა გამოერკვია ტაღახის ვუდკანების გეოლოგიური აღნაგობა, ტაღახის მარავი და გაღაენტყვიტა ტაღახის მეურნეობის რაციონალიზაციის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხები.

ყოველწლიურად ალინიშნება კრინიკური დაკვირვებების შედეგები ტაღახის სამკურნალო მოქმედების გამოსარკვევად და მისი ჩვენების და უცურვენების დასაზუსტებლად.

ჩატარებულია მუშაობა მეცნიერ მუშავთა ბრიგადის მიერ: თერაპიული ჯგუფი: კურორტის მეცნიერული ხელმძღვანელი პროფ. ლ. ჭავახეშვილი, ექიმი იარაღლვი, ჟლენტი, მამა. დაძე და სხვანი; ნევროლოგიური ჯგუფი – ხელმძღვანელი, უფროსი მეცნიერული თანამშრომელი ექიმი გ. პონდოლევი, ექ. პარკაძე და სხვანი; გინეკოლოგიური ჯგუფი – მეცნიერული ხელმძღვანელი პროფ. გ. ლამბარაშვილი, ექიმი ვ. პოდოტინსკაია, ექ. ნაღირაშვილი და სხვა.

ამ კრინიკური დაკვირვებებით იჩვევა აზრადის ტაღახის განსაკუთრებული ხელსაყრელი სამკურნალო თვისებები, წეტადრე სახსრების ქრონიკულ რევმატიზმის და სხვა სახის სახსრების დაავადებათა ღროს, პერიფერიულ ნერვული სისტემის, ქაღურ, კანის (ზოგი) და სხვა დაავადებების შემთხვევაში.

ბოლოს, კურორტის ჰავის პირობების ხანგრძლივ შესწავლამ, რომელიც აქ ხელშემწყობია შემოღვომა-ზამთრის პერიოდშიც და იმ გარემოებამ, რომ ამ რაიონში საუკეთესო ხარისხის ყურძნის უზვი მოსავალი იცის, მოგვცა საბუთი ნამოგვეყენებისა საკითხი ამ კურორტის აგრეთვე ყურძნით მკურაღლიბისათვის გამოყენების შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტით, ახტადას მიენიჭება კიდევ ერთი საუკეთესო უპირატესობა, რომელიც ძლიერ იშვიათია ტაღახის სამკურნალო კურორტისათვის. სექტემბრიდან კახური ყურძენი თავის საუცხოვო მდიდარი თვისებით სრულიად მნიშვნელოვანი და იგი ხდება საუკეთესო დამხმარე მასაზრდოებების სამკურნალო. საშუალებათ, მეტადრე იმ ავაღმყოფთათვის, რომელთაც ესაჭიროებათ მთავარ სწორებისაგან დაქვეითებული კვების აღ-

დგენა. ამგვარად სრული შესაძლებელია სექტემბრიდან ნოემბრის ნახევრამდე და თუ მოეწყობა ყურძნის სათანადო შენახვა (კონ-სერვაცია), მაშინ ნოემბრის გასუღამდეც, ახტადაზე სწარმოებდეს ტადახით მკურნაღობასთან ერთად, ან თუ საჭირო იქნება განსაკუთრებულადაც, ყურძნით მკურნაღობაც, რომელიც სამწუხაროდ ჭერ არ არის შემოღებული. მაგრამ ჩვენი წინასწარი დაკვირვებებით ყურძნით მკურნაღობა კახეთშიც კარგ შედეგს უნდა იძეოდეს ისე, როგორც საბჭოთა კავშირის ზოგიერთ აღგიღებში, მაგარითად, ყირიმში—ღიტერატურული მონაცემები ამას აღნიშნავენ.

ტადახით მკურნაღობის სეზონი კურორტ ახტადაზე ამჟამად განისაზღვრება 5 თვით, ივნისიდან ოქტომბრამდე ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ კურორტს აქვს მთელი ნდის განმავლობაში მკურნაღობისათვის ხელსაყრელი პირობები, ჭერჭერობით ტადახით სამკურნაღო და სხვა სამკურნაღო საკურორტო დანესებულებანი ზამთრის პერიოდისათვის მოუწყობელია.

ყოველ წელიწადს კურორტს თანდათან ბევრი ხაღი აწყება: თუ 1926 წელს კურორტის პოდივდინიკაში გატარდა 2.496 ავაღ-მყოფი, უკანასკნელ წლებში ავაღმყოფების რიცხვი (პოდივდინიკაში პირველადი მიმართვით) 4.500—4.800-მდე აღწევს.

ავაღმყოფთა სოციალური შემადგენლობა უმთავრესად მუშები და გდებებია.

ამავე დროს კურორტის სახელი იზრდება და ამით მისი მომსახურეობის რაღიუსიც ფართოვდება; ეს ჩანს იქიდან, რომ ბოლო წლებში ავაღმყოფები მოგრიან აბერბაიჯანიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ე. ი. მთელი კავშირიდან.

კურორტის აღგიღმდებარეობა, საკვანძო რკინის გზის საღარეულობანთან სიახლოვე, ტადახით მკურნაღობისათვის საჭირო ხელსაყრელი კვლეული პირობები, ყურძნით მკურნაღობის შესაძლებლობა (ყურძნის საუკეთესო ჭიშების პლანტაციების კურორტთან ახლო მდებარეობა), ირგვლივ მდებარე ისტორიული, ხუროთმოძღვრული და სხვა მატერიალურ კულტურის ძეგლების სიუხვე და ღამაზი ბუნებრივი აღგიღმდები ექსკურსიებიებისა და ტურიზმისათვის—ყველაფერი ეს კურორტ ახტადას ანიჭებს საუკეთესო პირობებს სოციალისტური სახელმწიფოს მშრომელთა ჭანმრთელობის დაცვისათვის საჭირო კურორტის ფართოდ განვითარებისათვის.

## ჩ ვ ა ნ ე ბ ა ნ ი

### კურორტ ახტალაზე მკულნალობისათვის

სამოძრაო ღრუბლის და შიდა გამოცხადების დაავალება

**I. სახსრების დაავადებანი.** ქრონიკული ართრიტები და ოსტეო-  
ართრიტები არა ტუბერკულოზური წარმოშობისა.

1. მნვავე რევმატიზმის (ბუიოს დაავადება) შემდეგ, სახსრე-  
ბის მნვავე და ქვემნვავე მოვლენების დამთავრებიდან არა უაღრეს  
6 თვისა, როგორც ტემპერატურა ნორმალურია, ერითროციტების  
დაღეჭვის რეაქცია არ აღემატება 20 მმ და ნეიტროფილების გა-  
დახრა მკაფიოდ არაა გამოხატული.

2. ინფექციური და ტოქსიური წარმოშობისა.

3. ტრავმატიურ წარმოშობისა

4. მძიმე ღითონებით ქრონიკული მონამდვის ნიაღაგზე.

5. პირველადი ქრონიკული პოდიართრიტები, ღეფორმიული  
ართრიტები, ხრტილებისა და ძვრების არა მნიშვნელოვანი ცვლი-  
ლებებით.

6. პოდაგრული დაზიანებანი ძვალ-სახსროვანი და კუნთო-  
ვანი აპარატის არა მკაფიოდ გამოხატული ცვლილებებით.

**II. ჰერსემლის დაავადებანი.** (არა ტუბერკულოზური წარმო-  
შობისა). ქრონიკული სპონდილოართრიტი ინფექციური და ტოქ-  
სიური წარმოშობისა.

**III. ძვლების, კუნთებისა და მყესების დაავადებანი**

1. ძვლების მოტეხილობანი ცუდად წარმოშობიდი ან მტკი-  
ვნებული ძვლის კონძით.

2. ოსტიტები და პერიოსტიტები ინფექციური (მათ რიცხვ-  
ში ღუესურიც) და ტრავმატიული.

3. მიოზიტები, ბურსიტები და ტენიოვაგინიტები ინფექცი-  
ური, ტოქსიური და ტრავმატიული წარმოშობისა.

4. კონტრაქტურები არა მყარი, ღერმატოგენური (სიღამწვრით და ფინანსურირების შემდეგ), მიოგენური და ართროგენური (არა ტუბერკულოზური და არა სიღამბრის ნიაღაგზე ნარმოშლისა) ძვლების სასახრე დაბოლოვებათა ღეფორმაციის გარეშე.

5. ქრონიკული ოსტეომიერიტები (გარდა ტუბერკულოზურისა), უმთავრესად ფისტურიანი, რომელიც არ საჭიროებენ ოპერაციულ ჩარევას ან მის შემდეგ, არა მაღალი ტემპერატურით.

6. ოსტეოსონდროპათიები (პერისის, კედერის, შდატერის და სხვა დაავადებანი).

### სისხლძალვთა სისტემის დაავადებანი

ტრომბოფლებიტის შემდეგ ნარჩენი მოვდენები.

### ნერვული სისტემის დაავადებანი

#### I. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებანი

1. რაღიკულიტები, პოლირაღიკულო-ნევრიტები, პლეზიტები, მონონევრიტები, ნევრადგიები, ნევროფიბრომიოზიტები, ინფექციური, რევმატიული, ინტოქსიკაციის და აუტოინტოქსიკაციის ნიაღაგზე და აგრეთვე მეორადი ხასიათისა.

2. პერიფერიული ნერვული სისტემის ჰიდრობათა და სხვა ტრავმების შედეგები, რომელიც არ საჭიროებენ ქირურგიულ მკურნალობას, ან და ამ უკანასკნელის დამთავრებისას.

#### II. ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებანი

1. ღუესური მენინგო მიედორადიკულიტები.

2. მენინგო-მიედიტები (არა სპეციფიური) მწვავე პერიოდის დამთავრებისას, მაგრამ არა უმეტეს 2—3 წლის ხანდაზმულობისა.

3. მწვავე წინა პოლიომიედიტის ან გეინე-მედინის დაავადების შედეგები, მწვავე პერიოდის დამთავრებისას, მაგრამ არა უმეტეს 2—3 წლის ხანდაზმულობისა.

4. ხერხემდის ტვინის ტრავმის შედეგები (ჰემატომიედია და სხვა) მწვავე პერიოდის დამთავრებისას, მაგრამ არა უმეტეს 2—3 წლის ხანდაზმულობისა.

### გუცლის ლრუს დაავადებანი

ანთებითი პროცესების დანაშთი მოვდენები მუცელის ლრუში ოპერაციის, ინფექციისა და ტრავმის შემდეგ. პერიოდისცერიტები.

## გენერალური დააგადებანი

1. აღნექსიტები (საღპინგო-ოლტორიტები), სხვადასხვა ეთი-ოლოგიის პერიაღნექსიტები (გარდა ტუბერკულოზურისა), ქრონიკული ან და მწვავე პერიოდის დამთავრების შემდეგ არა უაღრეს 8 კვირისა (გამწვავებისადმი მიღრევიღებისას—სანატორული მცურ-ნაღობა, ღანარჩენ შემთხვევებში—პოლიკლინიკური)
2. ქრონიკული მეტრონიმეტრიტები.
3. ქრონიკული კოლპიტები და ცერვიციტები, ხშირად რეცი-დივირებული, რომელიც აღგიღობრივ მცურნაღობის ღროს შეღეგს არ გვაძლევს.
4. საშვიღოსნოს ღევიაცია შეზღუდული მოძრაობით.
5. პარამეტრიტები ქრონიკული ან მწვავე პროცესის ჩათავე-ბის შემდეგ არა უაღრეს 8 კვირისა.
6. პედვეოპერიტონიტები ქრონიკული ან მწვავე პერიოდის დამთავრების შემდეგ არა უაღრეს 2 თვისა.
7. ოპერაციის შემდგომი ინფიდტრატები და ექსურატები შენედების სტადიაში.
8. საკვერცხეების ფუნქციის ნაკლოვანება საშვიღოსნოს ნორ-მაღური ან შემცირებული ზომის ღროს.

## პანის დააგადებანი

1. პსორიაზი ერიტროდერმიის მოვლენების გარეშე და არა გა-მწვავებულ მდგომარეობაში.
2. კანის ქავიღი.
3. ფხანა.
4. ნეიროდერმიტი.
5. სკლეროდერმია — ღანყებითი ფორმები (ატროფის არა ძლიერი გამოხატულებით).
6. პიოდერმიტი—ქრონიკული ფორმები.
7. ქრონიკული ეგზემები.

## ჟინაალადებანი

1. ყველა ღაავაღებანი მწვავე პერიოდში.
2. ფიდტვებისა და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი, ყველა სახისა.
3. სამოძრაო ორგანოების ღაავაღებანი, მყარი ატროფიული ღეგენერაციული პროცესების თანხდებით, მათი დამთავრებული ფორმები; სახსრების მთღიანი ანკიღოზი.



4. ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული ღაავადებანი გარდა ჩვენებებში აღნიშნულისა, ეპიდეპსია, ფსიქოზები, ისტერია, ნევრასტენიის მძიმე ფორმები და სხვა.

5. გულისა და სისხლძარღვთა სისტემის ღაავადებანი სუბკომ-პენსიურ და ღეკომპენსიურ მდგომარეობაში.

6. საშუალო და მაღალი ხარისხის ჰიპერტენზიები, განსაკუთ-რებით თანდართული სისხლძარღვთა სკვერობთან.

7. ნეფროზები და ნეფრიტები.

8. ავთვისებიანი ხორცმეტები.

ფასი 1 გვ.

5. 56 /  
482

Курорты Грузии

Д. Джавахишвили

АХТАЛА

19 ГРУЗМЕДГИЗ 39  
Тбилиси

